



## მამა გაბრიელე პრაგანცინი

**წინააღმდეგობათა წინაშე,  
საუკეთესო არჩევანი,  
რა თქმა უნდა, არის არა  
გაქცევა ან დამალვა,  
არამედ შეცნობა, რათა  
შეძლო მათი დაძლევა,  
გადალახვა, რაც არცოთ ისე  
ადვილია.**

ცხოვრება თავისთავად სავსეა დიდი თუ მცირე, აშეარა თუ ფარული, პირადი თუ საზოგადოებრივი წინააღმდეგობებით; სიმონა ვეილი (Simone Weil, 1909-1943, ფრანგი ფილოსოფოსი, მისტიკოსი, აქტივისტი და მწერალი ქალი) აღნიშნავდა, რომ რადგან ქმნილებები ვართ, წინააღმდეგობას წარმოვადგენთ; ღმერთიც ვართ და, ამავდროულად, ლვთისაგან უზომოდ განსხვავებულნი. ზოგჯერ თავად წინააღმდეგობი გვძენენ მოქნილობასა და გონივრულობას, იმის უნარს, რომ ერთსა და იმავე მდგომარეობას სხვადასხვა კუთხით შევხედოთ, ზოგჯერ კი გვაფერხებენ და ჩვენს გზებს აბრკოლებენ. ყოველი ჩვენგანი თავისებურად ხვდება და უმკლავდება მას. გინდა ფორმა შეინარჩუნო, მაგრამ არ გინდა ჯაფა გასწიო; გინდა წონაში არ მოიმატო, მაგრამ ტკბილეულზე უარს ვერ ამბობ. გინდა კარიერა გაიკეთო, მაგრამ თავს დამნაშავედ გრძნობ, რადგან ოჯახს

დროს ართმევ. გინდა, რომ სხვამ დაიცვას წესები, შენ კი შეძლებისდაგვარად... თითქოს ესეც არ კმაროდა, 2020 წლის ამ თვეებმა ახალი წინააღმდეგობა გაგვიჩინა, წყეული ვირუსი კოვიდ-19, რომელიც, ჩანს, თავს არ გვანებებს! რამდენი წინააღმდეგობა გაჩნდა, დაწყებული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემული უამრავი რეკომენდაციიდან, დამთავრებული ქვეყნების მიერ გაკეთებული არჩევანით; დაწყებული იარაღის ახალი მაღაზიების გახსნით და უსახლკაროდ, უპოვრად დარჩენილი ადამიანებით დამთავრებული; ცნობილი ნიღბებიდან დაწყებული და თავშეყრის ადგილების მოზომვით დამთავრებული; ბოლო დროს ჩვენ ვნახეთ რასიზმის საწინააღმდეგო პროტესტი ამერიკასა და სხვა ქვეყნებში, ვნახეთ, როგორ განახლდა ფეხბურთის მატჩები და „ფორმულა უნის“ შეჯიბრებები, მაგრამ არა რელიგიური პროცესიები (როგორიცაა, მაგ-

ალითად, Corpus Domini - უფლის უწმიდესი ხორცისა და სისხლის დღესასწაული)! ბევრი მიიჩნევს, რომ ვირუსი გლობალიზაციის პირმშოა, შედეგია ადამიანთა მასების უწყვეტი მოძრაობისა ერთი ქალაქიდან მეორეში, ერთი ქვეყნდან მეორეში სამუშაოს ძიების, ტურიზმისა და ემიგრაციის მიზნით. ვირუსიც სწრაფად და შეუმჩნევლად გავრცელდა. სხვები მიიჩნევენ, რომ მხოლოდ და მხოლოდ გლობალიზებული სამყაროს წყალობით გახდა შესაძლებელი, შეფერხებულიყო მსოფლიოში დაავადების გავრცელება. და მაინც, ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ ამ მიკროსკოპულ- მა ვირუსმა ააცახცახა გლობალიზაციის გი- განტის თიხის ფეხები. პანდემიამ თავისი დალი დაასვა ადამიანებს, ოჯახებს, ჩვენს საზოგა- დოებას, გრძნობებს, დე- მოკრატიულ სისტემას და განვითარების მოდ- ელებს, გამოაძვარავა წინააღმდეგობა, ჩამორ- ჩენილობა, უმოქმედობა და მოუმზადებლობა. მრავალ წინააღმდეგობას შორის, ერთ-ერთი ყველაზე აშკარა, ჩემი აზრით, ის ფაქტია, რომ სრულიად დემოკრატი- ულ, ტექნოლოგიურ, სა- მეცნიერო სისტემაში ადამიანის უფლება ქაღალდზე გარანტირებულია, ჯერ კიდევ გაურკვევე- ლია, რა მოხდა სინამდვილეში და როგორ განვითარდება არსე- ბული ვითარება.

რაც შეეხება წინააღმდეგობას, ჩინურად (რადგან, როგორც ჩანს, ყველაფერი აქედან დაი- წყო) ეს ტერმინი წარმოდგენილია ორი იდეოგრამით 矛盾, შესა- ბამისად, „შუბით“ და „ფარით“. თუკი გულდასმით დავაკვირდ- ებით ამ ორ სიმბოლოს, ორი

ობიექტის სტილიზაციას შევნიშ- ნავთ. ამბობენ, რომ ეს კომბინა- ცია და მასთან დაკავშირებული კონცეფცია მომდინარეობს ის- ტორიიდან, რომელიც თარიღდ- ება ჩვენი წელთაღრიცხვის III საუკუნით (ძინის დინასტია). ერთი მოხეტიალე ვაჭარი ჩუს ქვეყანაში სოფლიდან სოფლად დალიოდა, სხვადასხვა საქონელს ყიდდა, მათ შორის, შუბებსა და ფარებს. მოედანზე ერთმა გამ- ვლელმა ჰკიოთხა, როგორი იყო მისი შუბები, მან მიუგო, რომ მას ამქვეყნად საუკეთესო შუ- ბები ჰქონდა და ნებისმიერ ფარს ხვრეტდა. შემდეგ, მეორე

მათი დაძლევა, გადალახვა, რაც არცთუ ისე ადვილია. როგორც კოვიდ-19-მა გვასწავლა, თავად ვერავინ უშველის თავს. ამქვეყ- ნად ჩვენ ერთ ნავში ვსხედვართ. მხოლოდ ერთობით შეგვიძლია გავუმკლავდეთ ისტორიის ქა- რიშელებს. ამრიგად, თუკი სილ- რმისეულად გადაგვიწყვეტია ახალი ვითარების გაგება, კოვ- იდ-19-თან თანაცხოვრება (ვინ იცის, რამდენი ხნით!), ეს როდი ნიმუშს, რომ მის თანმდევ წი- ნააღმდეგობებთან ერთად უნდა ვიცხოვოთ, რაკი ვიცით, რომ ეს ვითარება არა იმდენად ვირუსის შედეგია, არამედ ცხოვრებაზე

მცდარი შეხედულების შედეგი, არასწორად წარმოებული ეკო- ნომიკის, პოლიტიკის, განათლების, კანონ- მდებლობის შედეგი... არასწორი, ნაწილო- ბრივი, ცალკეულ დაინტერესებულ პირ- თა, პოლიტიკოსების, ეკონომისტების, სხ- ვების უბედურების ხარჯზე რომ სარგე- ბლობენ, მიერ გა- კეთებული მცდარი არჩევანის შედეგი. წინააღმდეგობების დაძლევა შესაძლებე- ლია და აუცილებელიც არის, როგორც მასთან თანაცხოვრებით, ისე

მათი გადაჭრის გზით, მთავარია, ახალი არ აღმოცენდეს პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლის პროცესში.

გამომდინარე აქედან, დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება მსოფლიოსთან ურთ- იერთობის გამყარება. აუცილე- ბელია, გაჯანსაღდეს ადამიანებს შორის ურთიერთობები „შენ“-ის მიმართ გახსნილობის შუქზე: სხვა სიტყვებით, ცენტრში უნდა დავაყენოთ სხვა, საბოლოო ჯამ- ში კი სხვა მთავრულით.



გამვლელმა ჰკიოთხა, როგორი ფარები ჰქონდა, იმავე თავდა- ჯერებით მასაც უპასუხა, რომ ამქვეყნად საუკეთესო ფარები ჰქონდა, რასაც ვერანაირი შუბი ვერ გახვრეტდა... ამასობაში, მესამე გამვლელმა სთხოვა, ეს- როლა შუბი ფარისთვის... მაშინ კი ვაჭარმა ამჯობინა იქაურო- ბას გაცლოდა. ცხადია, წინააღ- მდეგობათა წინაშე, საუკეთესო არჩევანი, რა თქმა უნდა, არის არა გაქცევა ან დამალვა, არ- ამედ შეცნობა, რათა შეძლო

# ქრონიკა



თარგმან  
რუსულად ავალიზაციების

## კარიტასი კონგრესებს ეპოლას ეპილემის დაძლევაში ეხმარება

1 ივნისს კონგრეს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ ქვეყანაში ებოლას ეპიდემიის მორიგი, მე-11 აფეთქების შესახებ გამოაცხადა. ამჯერად რამდენიმე შემთხვევა ეკვატორიული პროვინციის ადმინისტრაციულ ცენტრში, მბანდაკაში გამოვლინდა. 25 ივნისს კი დასწებოვნების 3400 შემთხვევა ქვეყნის დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა. ბიოსამედიცინო კვლევათა ეროვნული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა გენეტიკურმა ანალიზმა ცხადჰყო, რომ ორ რეგიონში გამოვლენილი ვირუსის შტამპები განსხვავებულია.

კარიტასის პროგრამა ეპიდემიის შემდგომი გავრცელების პრევენციისკენაა მიმართული. სამღვდელოება, მისინერები, კათოლიკე თემების ახალგაზრდა მოხალისები ადგილობრივ მოსახლეობას დასწებოვნების თავიდან არიდების ზომებს გააცნობენ. ინფორმირების კამპანიის განსაკუთრებული მიზნობრივი ჯგუფი ქალები არიან: ისინი ყიდულობენ საკვებს, უვლიან ავადმყოფებს და დაკრძალვისთვის ამზადებენ გარდაცვლილებს; ამრიგად, მათ დასწებოვნების მეტი შანსი აქვთ.

<https://www.who.int/emergencies/diseases/ebola/ebola-health-update---%C3%A9quateur-province-democratic-republic-of-the-congo-2020>

<https://www.catholicnewsagency.com/news/new-ebola-outbreak-in-drc-prompts-catholic-aid-68732>

## ქრისტიანები კვლავ ტოვებენ ნინების დაბლობს

საერთაშორისო კათოლიკური ორგანიზაციის Kirche in Not ანგარიშის თანახმად, ქრისტიანები, რომლებიც ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში დაბრუნდნენ, კვლავ სავალალო პირობებში აღმოჩნდნენ. „ისინი სახელმწიფო საჯარისო შენაერთების მხრიდან დევნასა და შევიწროებას განიცდიან. ზოგი შიშობს, რომ „ისლამური სახელმწიფო“ ძალას მოიკრებს და დაბრუნდება. ამიტომ თავს დაუცველებად გრძნობენ. ამას ემატება სამუშაო ადგილების სიმწირე და ეკონომიკური პრობლემები. ამიტომ მკვიდრო მოსახლეობა ისევ მიდის. გასულ წელს მხოლოდ ბალდადიდან სამი ათასი კათოლიკე გაიზიარა“, - აღნიშნავს მამა ანდრიზე ჰალემბა მოხსენების წინასიტყვაობაში. მოხსენებას ერთვის გამოკითხვის შედეგები: გამოკითხულ ქრისტიანთა 57% გამოსავალს ემიგრაციაში ხედავს.

## აშ-ის ყოფილი კონგრესები ნიგარისლ ქრისტიანთა დახმარებას ითხოვს

„ნიგერიელმა ექსტრემისტებმა მეტი ქრისტიანი მოკლეს, ვიდრე „ისლამურმა სახელმწიფომ“ ახლო აღმოსავლეთში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საგანგებო დესპანი უნდა მიავლინოს ნიგერიაში, რომელიც ქრისტიანთა დაცვის კოორდინირებას ითავებს“, - აღნიშნა ყოფილმა კონგრესმენმა ფრანკ ვოლფმა საერთაშორისო ორგანიზაციის „ქრისტიანთა დაცვისთვის“ მიერ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე, რომელიც ნიგერიელ ქრისტიანთა გაუსაძლის სიტუაციას მიეძღვნა.

„ექსტრემისტული ჯგუფების გაძლიერებას ხელს უწყობს ქვეყნის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მდგრმარეობა. დიპლომატები და ბიზნესმენები შორს არიან რწმენის საკითხებისგან. როდესაც საქმე ქრისტიანობას და ქრისტიანულ ლირებულებებს ეხება, დასავლეთი უკან იხევს და წარმოქმნილი სიცარიელით ექსტრემისტები სარგებლობენ. ვიღაც უნდა დაინტერესდეს იმით, რაც აქ ხდება“, - განაცხადა ბრიფინგზე სოკოტოს ეპარქიის ეპისკოპოსმა მათე კუკამ.

<https://www.catholicnewsagency.com/news/send-special-envoy-to-protect-nigerian-christians-says-former-congressman-60390>

## კაპის ცელის კაცემისასთან ბრძოლაში

3 ივლისს წმიდა საყდრის პრესცენტრმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ უწყიდესმა ფრანცისკემ მსოფლიო სასურსათო პროგრამას 25 000 ევრო გადასცა. „ეს სიმბოლური თანხა ნიშანია პაპის სიახლოებისა მათთან, ვინც დღეს პანდემის გამო იტანჯება და, ასევე, მათთან, ვინც ყველაზე ღატაკებს უწევს დახმარებას; ეს წამახალისებელი უესტია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ახლა სოციალურ არასტაპილურობას, უმუშევრობის ზრდას, ეკონომიკის რღვევას ეპრძვიან.

პანდემის დასაწყისიდან უწყიდეს ფრანცისკეს არაერთხელ გაუწევია დახმარება მათთვის, ვინც უშუალოდ ებრძვის პანდემიას და მის შედეგებს. ერთობლიობაში სხვადასხვა ორგანიზაციებისა და პროგრამების ხელშეწყობისთვის გაღებული თანხა 2 მილიონ ევროს შეადგენს.

<https://www.vaticannews.va/ru/pope/news/2020-07/pomosh-papy-vsemirnoj-prodovolstvennoj-programme.html>

## ურთიერთ ფრაცისკეს თარიღი ალესანდრო პანარლის

„შვირფასო ალესანდრო! შენი ამჟავი დასტურია იმისა, რომ ყველაფრის თავიდან დაწყება უეცარი შეჩერების შემდეგაც არის შესაძლებელი. სპორტის მეშვეობით გმირობას ასწავლიდი, უნარშეზღუდულობით პუმანურობის მაგალითს აჩვენებდი. ვლოცულობ შენთვის. გმადლობ, რომ ძალა-დაკარგულებს ძალა დაუბრუნე. ამ ძნელებდობის უამს მე შენთან ვარ. ვლოცულობ შენთვის და შენი ოჯახისთვის. ღმერთმა დაგლოცოთ და ღვთისმშობელი გფარავდეთ“.


19 ივნისს „ფორმულა-1“-ის ყოფილი პილოტი, ავტორბოლათა ჩემპიონატის (CART) ორგზის გამარჯვებული, ზაფხულის პარაოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონი, 53 წლის ალესანდრო ძანარდი ჰენდბაიკით (ხელით სამართავი ველოსიპედი) ვარჯიშისას სატვირთო მანქანას შეეჯახა. ამჟამად სპორტსმენი მედიკამენტოზურ კომაში იმყოფება.

[https://www.gazzetta.it/Auto/23-06-2020/papa-bergoglio-scrive-alex-zanardi-tramite-gazzetta-3702065564925\\_preview.shtml?reason=unauthenticated&origin=http%3A%2Fwww.gazzetta.it%2FAuto%2F23-06-2020%2Fpapa-bergoglio-scrive-alex-zanardi-tramite-gazzetta-3702065564925.shtml](https://www.gazzetta.it/Auto/23-06-2020/papa-bergoglio-scrive-alex-zanardi-tramite-gazzetta-3702065564925_preview.shtml?reason=unauthenticated&origin=http%3A%2Fwww.gazzetta.it%2FAuto%2F23-06-2020%2Fpapa-bergoglio-scrive-alex-zanardi-tramite-gazzetta-3702065564925.shtml)

## გარდაიცვალა ბერნარ რაზინერი

1 ივლისს 96 წლის ასაკში გარდაიცვალა ბენედიქტე XVI-ის ძმა, მამა გეორგ რაციონგერი. თავისი მიწიერი გზა მან გერმანიის ქალაქ რეგენსბურგში დაასრულა, სადაც ცხოვრების უდიდესი ნაწილი გაატარა. მღვდლად ძმასთან ერთად, 1951 წლის 29 ივნისს აკურთხეს. 1964-94 წლებში მამა გეორგი Regensburger Domspatzen ვაჟთა გუნდს ხელმძღვანელობდა. ბენედიქტე XVI გერმანიაში 18 ივნისს ჩავიდა და ძმასთან ხუთი დღე დაჰყო.

მამა გეორგ რაციონგერი რეგენსბურგში 8 ივლისს დაკრძალეს. ქალაქ-ის საკათედრო ტაძარში ყოფილ მაესტროს გუნდის ორას ოცი წევრიც გამოემშვიდობა.





## წილი... სამოციქურო მერძობაზე ცხოვრისტეში

როგორც სიცოცხლე, სიწმიდეც ძლიერი მკლავით როდი მიიღწევა. ეს არის ნათლისლებაში ღვთისგან მიღებული საჩუქარი, საჩუქარი, რომელიც უნდა მივიღოთ დღითიდღე სულინმიდისათვის კარის გახსნით. ის არასოდეს დაცხრება, შეგვახსენოს ჩვენი შემოქმედი ღმერთის დიადი ჩანაფიქრი და ჩვენთან შესახვედრად მოსული ისოს უსაზღვრო სიყვარული.

რა ახასიათებს სამოციქულო ბერმონაზენულ ცხოვრებას და როგორ შეიძლება იქცეს ის სიწმიდის გზად?

უპირველეს ყოვლისა, ეს არის თავისუფალი და სიხარულით სავსე პასუხი იესოს შინაგან მოხმობაზე: „მოდი, გამომყევი!“. პასუხი, რომელიც გვთავაზობს, იესოს განუყოფელი სიყვარულისათვის მივატოვოთ ყოველივე. პასუხი, რომელიც გვაყენებს რწმენისა და სასოების გზაზე, აბრაამის მსგავსად, და არც კი გვეცოდინება საით წარგვგზავნის.

მნიშვნელოვანი ადგილი, რომელსაც ვუთმობთ უფლის მოსმენას ლოცვაში, მედიტაცია, სულიერი აღზრდა ხელს უწყობს უფალთან პირადი და შინაგანი ურთიერთობის ძაფების გაბმას. ჩვენ ამ

გზაზე მარტონი როდი ვართ, არამედ ვიმყოფებით ეკლესიაში, იმ მრავალ ძმასთან და დასთან ერთად, რომლებიც ერთი და იმავე სურვილით არიან აღძრულნი, მიჰყენენ იესოს ამა თუ იმ საბერმონაზენო ოჯახში. საკრებულოში ცხოვრების არჩევით, ჩვენ როდი ვირჩევთ იმ ადამიანებს, ვისთან ერთადაც ვიცხოვრებთ, არც საცხოვრებელ ადგილს და არც იმ მსახურების ხანგრძლივობას ვირჩევთ, რომელსაც მოგვთხოვენ. საკრებულოში ცხოვრების ეს წესი დიდი სიხარულის წყარო ხდება ჩვენთვის და ძვირფასი დახმარება. მეორე მხრივ, საკრებულოში ცხოვრება ნიშნავს აგრეთვე, ისწავლო მეორე ადამიანის მიღება მისი წარსულით, კულტურით, ჩვევებით, რაც ხშირად ძალზე განსხვავდება „ჩემი“ ჩვევებისაგან. ზოგჯერ ეს შესაძლოა იყოს რთული გამოცდაც ჩემთვის. ამგვარ ცხოვრებაში, როგორც ყოველგვარ ცხოვრებაში, სიყვარულის მეორე მცნების — „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ — შესრულება უფლის დახმარებისა და გულმონყალე შენევნის გარეშე შეუძლებელია. ნელ-ნელა, შემოქმედი სული გარდაგვემნის და წმიდა გვყოფს.

იმისათვის, რომ შევიძინოთ უფრო ღრმა შინა-

განი თავისუფლება ღარიბი, სპეტაკი და მორჩილი ქრისტეს კვალად, ჩვენ ვდებთ სილარიბის, სისპეტაკისა და მორჩილების აღთქმას. მამისაკენ მიპყრობილი იქსოს მსგავსად, ყოველივეს მისგან რომ მოელის, უარს ვამბობთ პირად საკუთრებაზე. ჩვენ ყველაფერი საერთო გვაქვს: ქონება, ჯამაგირი და ყოველივე, რასაც ვლებულობთ. იქსოს მსგავსად, რომელიც მოვიდა მამის ნების აღსარულებლად და სამყაროს ხსნისათვის სიცოცხლის მისაცემად, პირადად და ერთობლივად, ჩვენს ზემდგომებთან კავშირში, ვეძიებთ ღვთის ნებას და ვემორჩილებით კონგრეგაციის მისისა და ერთობის სასიკეთოდ მიღებულ გადაწყვეტილებებს. ჩვენ არ ვირჩევთ ჩვენს პირად მისიას, არამედ დიალოგის შემდეგ ვლებულობთ მას მათგან, ვისაც ხელისუფლება აბარია.

იმისათვის, რომ მთელ კაცობრიობასთან ღვთის კავშირი წარმოეჩინა, იქსომ შეიყვარა ყოველი ადამიანი საყოველთაო სიყვარულით. მან აირჩია ეცხოვრა უქორნინებელი ქალწულობით. საბერმონაზნო ცხოვრებაში რადიკალური სახით ვირჩევთ ქრისტეს. მას ვუძღვნით მთელ ჩვენს ძალებსა და სიყვარულის უნარს და ვბაძავთ მას, როცა უარს ვამბობთ მეუღლეზე და შთამომავლობაზე. მიუხედავად ამისა, იქსოში გვნამს, რომ ჩვენი ცხოვრე-

ბა ნაყოფიერია და ჩვენი ურთიერთობებიც სულ უფრო მდიდრდება მისი საყოველთაო სიყვარულით. ჩვენა ვართ იმ მრავალრიცხოვნი შთამომავლობის მოწმები, აბრაამს რომ აღუთქვეს.

ესაა რამდენიმე სტრიქონში ჩატეული ჩვენი სამარშრუტო რუკა! მარტივი და მშვენიერი, იგი წარმოადგენს ცხოვრების გეგმას, რომლის განხილულებაც უფლის მადლისა და მისი მოწყალე მოთმინების გარეშე შეუძლებელია. საბედნიეროდ, იქსო დაგვპირდა, რომ იგი მუდამ ჩვენთანაა და სწადია გვაქციოს თავის ხატად და მსგავსად. ვითხოვთ მადლს, რომ მრავალმა ახალგაზრდამ აღმოაჩინოს ეს მშვენიერი მოწოდება და ჩაერთონ მასში სიხარულით, ღვთის უმეტესი დიდებისათვის.

იქსოსთან ერთად, მასში და მის მიერ, თავმდაბლად, თითოეულმა, ისეთმა, როგორიცა ვართ და იქ, სადაცა ვართ, ვეცადოთ ვუპასუხოთ უფლის მოხმობას: „**წმიდა იყავით, რადგან წმიდა ვარ მე, უფალი, ღმერთი თქვენი**“ (ლევ. 19, 2).

**Mariette Desrochers  
Sœur de Sainte-Nino**

**მარიეტ დესროშე  
წმიდა ნინოს კონგრეგაციის და**



# ჰობო ეახჩა ნეცახი ფხანცი სიმახტოს ეხთბული

ჩინო ქამილები



## მოავზადა ნანა ვებირიძემ

ფრანც იეგერშტეტერი (გერმ. Franz Jägerstätter) დაიბადა 1907 წელს, ავსტრიის სოფელ სანკტ რადეგუნდში, როდესაც დედამისი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო. ის გლეხია ბავიერაში და მაღაროელი შტირიაში. 1933 წელს ფრანცი ბრუნდება სოფელში, იგი გამოირჩევა მხიარული ხასიათით, უყვარს გართობა და ხმამაღლალი სიცილი. მიუხედავად მომხიბლავი, თბილი და თავაზიანი ხასიათისა, ორსულად ტოვებს ახლომდებარე ფერმაში მომსახურე ახალგაზრდა ქალს, რომელზეც ვერ დაქორწინდა მისი მშობლების წინააღმდეგობის გამო. ჩვენ მშვიდობით დავშორდით და მან მიტევება მთხოვა, - იტყვის შემდგომ ქალი. ფრანცი ყურადღებას არ აკლებს დედა-შვილს, ფინანსურად ეხმარება და ზრუნავს მათზე თავისი შესაძლებლობის მიხედვით. ორი წლის შემდეგ იგი ქორწინდება ფრანცისკაზე, რომელიც შეცვლის მის ცხოვრებას. ფრანცისკა ლოცულობს და ფრანცთან ერთად ყოველ-დღე კითხულობს ბიბლიას. სულ მალე ფრანცი მხურვალე მორნმუნე ხდება და ეკლესიის სამსახურში დგება. ფრანცისკა მას ერთმანეთის

მიყოლებით სამ გოგონას გაუჩენს. ფრანცი გარდაისახება, რწმენის აღმოჩენა მას ისეთ სიხარულს ანიჭებს, რომელიც აქამდე არასდროს უგრძვნია. ის ბედნიერია, ოჯახი მისთვის სამოთხეა, მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს ვერ გასტანს. 1938 წელს ავსტრია ჰიტლერის გერმანიის მმართველობას დაექვემდებარა. ფრანცმა კარგად იცოდა, რომ ნაციზმი შეუთავსებელი იყო კათოლიკობასთან; ამიტომ იგი უარს ამბობს შეთავაზებაზე, გახდეს ბურგომისტრი, ასევე, სახელმწიფო დახმარებაზე ოჯახებისთვის და სტიქით (სეტყვით) მიყენებული ზარალის კომპენსაციაზეც კი. პოპულარობა, რომლითაც ის ქალაქში სარგებლობს, თანდათან მტრობად გადაიქცევა. მას ფანატიკოსად, ჯიუტად, შფოთისთავად მიიჩნევენ; ყველა ფრანცის წინააღმდეგია, დევნას განიცდის მისი ცოლიც, მათ ქალიშვილებთან თამაში უკვე არ-ცერთ ბავშვს აღარ სურს; მღვდელიც ურჩევს ფრანცს, რომ დანებდეს, მათ შორის, ლინცის ეპისკოპოსიც. მისი ერთგულია მხოლოდ ფრანცისკა, რომლის წყალობითაც ის რწმენას ეზიარა, ცოლი ამხნევებს



მას, ურჩევს გააგრძელოს გზა, რომელიც აირჩია. მან კარგად იცის, რომ მეუღლის გარეშე მათი მეურნეობა განადგურდება, ის და მისი ქალიშვილები სამუდამოდ დაღდასმულნი იქნებიან, როგორც მოღალატენი. მაგრამ, მაშინაც კი, როცა ბოლომდე არ ესმის ქმრის გადაწყვეტილება, ფრანციკა მის მხარეზეა. შესაშურია ასეთი ცოლი, ეს ძალიან დიდი მადლია.

შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: გერმანიამ შსოფლიო ომი წამოიწყო და ფრანცი გამოიძახეს. ის, ვინც წინააღმდეგია წვლილი შეიტანოს ჰიტლერის დაპყრობით მოქმედებებში, მაინც მიდის, მაგრამ ფიურერისადმი ერთგულების ფიცს არ დებს. ამას მოჰყვება ციხე, შევიწროება, დაკითხვა, მაგრამ ფრანცი არ ნებდება. იმისათვის, რომ არ შექმნან უსიამოვნო პრეცედენტი, ალტერნატიულ სამედიცინო სამსახურს სთავაზობენ მას. ფრანცი ამაზეც უარს ამბობს. მას პერლინში აგზავნიან, რათა რაიხის სასამართლოში წარსდეგს როგორც დეზერტირი და, რაც უფრო უარესია, როგორც დისიდენტი. ყველა, ვინც მას მონახულებს, მისი ადვოკატიც კი, მორალურ შანტაჟს უწყობს: არ ფიქრობთ თქვენს ქალიშვილებზე? რად გილირთ, რომ ყალბი ფიცი დადოთ? სასჯელი სიკვდილია, თქვენი ოჯახი დარჩება მშერი და სამუდამოდ შერცხვენილი; მაგრამ ფრანცი ბიბლიის ყოველდღიური საკითხავებიდან იხსენებს იმ მოხუც ეპრალს, რომელმაც ანტიოქიასი დევნის დროს უარი თქვალორის ხორცის ჭამაზე: მასაც შესთავაზეს, რომ თავი მოეჩვენებინა და საკუთარი სიცოცხლე ეხსნა, მაგრამ თუ დანებდებოდა, ამით ხომ ცუდ მაგალითს მისცემდა ახალგაზრდებს. რაიხის განაჩენით, 1943 წლის 9 აგვისტოს ფრანცი ბრანდენბურგში გილიოტინაზე სიკვდილით დასაჯეს. 2007 წელს კათოლიკე ეკლესიამ იგი ნეტარად შერაცხა. ფრანცი საერო პირი იყო ფრანცისკელთა მესამე ორდენში და ავსტრიის არმიაშიც კარგად

იმსახურა, მაგრამ ავსტრიისა და გერმანიის კავშირის შესახებ რეფერენცუმის დროს, იგი ერთადერთი იყო მთელ სანკტ რადეგუნდში, ვინც წინააღმდეგ მისცა ხმა. მან განუცხადა „არა“ წარმართ ნაციზმს და „არა“ მის მიერ გამოწვეულ ომს.

ტერენს მალიკის ფილმში „მალული ცხოვრება“ ნაჩვენებია ფრანცი იეგერშტეტერის პიროვნება, რომელსაც კათოლიკე ეკლესია პატივს მიაგებს, როგორც ნეტარს. ეს ფილმი ეძღვნება ფაშისტური გერმანიის ყველა იმ ჯარისკაცს, ვინც ჰიტლერს არ თანაუგრძნობდა, მაგრამ ემსახურებოდა სამშობლოს, მიუხედავად იმისა, რომ ის საეჭვო ხალხის ხელში იყო. მალიკის ფილმი მაყურებელს დააფიქრებს კითხვაზე, თუ რა აიძულებს ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც ბედნიერად ცხოვრობს, რისკზე წავიდეს რწმენისადმი ერთგულების გამო. მრავალი სცენა ეძღვნება მორწმუნის ტანჯვას, რომელიც, ბიბლიური იობის მსგავსად, გარშემორტყმულია „კეთილმოსურნეებით“, რომლებიც მას აქეზებენ, წავიდეს დათმობაზე, ადანაშაულებენ სიჯიუტეში, ცოლისა და ქალიშვილების მიმართ გულგრილობაში, რომელთაც სწორედ მის გამო ერგოთ მწარე ხედირი.

ალსანიშნავია უნიკალურობა ჰოლივუდელი ავტორისა, რომელიც, მილიარდიანი ფილმის „ჰოლოკოსტის“ გადაღების ნაცვლად, გვახსენებს, რომ ნაციზმმა სხვა მსხვერპლიც გამოიწვია. ეს არის ფილმი „ლმერთის სიჩუმის“ შესახებ, რაც, როგორც ჩანს, ერთგვარი პასუხია მარტინ სკორსეზეს ფილმზე „სიჩუმე“, რომელიც მოგვითხოვობს ორ იეზუიტზე, რომლებიც მეჩვიდმეტე საუკუნის იაპონიაში ზენოლის შედეგად უარყოფენ რწმენას; აქ კი გლეხი, ოჯახის მამა არჩევს დაუმორჩილებლობას. რეჟისორი მთავარი გმირის პიროვნების შეფასებას არ იძლევა, რათა ყურადღება გაამახვილოს შინაგან დილემაზე, ისე რომ, მაყურებელი დააფიქროს კითხვაზე: ფანატიკოსია იგი თუ წმიდანი?



**დიაკონი თანხიზ  
პარმაჟიშიშვილი**

## ბათუმის სეირინმიტის ეკლესიის ქუჩაშევის 20 წელისთავი

ამ თარიღის აღსანიშნავად მრევლი საგანგებოდ მოემზადა. ამინ-დიც შესაფერისი იყო, არც ძალიან ცხელოდა, არც უწვიმია, მიუხედავად წინასწარ გამოცხადებული წვიმისა.

უკვე ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 2000 წლის 24 ივნისს, წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის დღეს, ეკურთხა ეს ლამაზი ტაძარი, ზეცისკენ ყელმოლერებულ გედს რომ მოგვაგონებს.

ამ საზეიმო დღეს ჩვენთან ჩამობრძანდნენ: კავკასიის ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრატორი, მეუფე ჯუზეპე პაზოტი; წმიდა საყდრის დესპანი საქართველოსა და სომხეთში, მეუფე უოზე ბეტტენური; მღვდლები, დიაკონები, საქართველოს სხვადასხვა კუთხის კათოლიკური საკრებულოების წარმომადგენლები, ბათუმის სხვა ქრისტიანული კონფესიის სასულიერო პირები, აჭარის მთავრობის წარმომადგენლელი რელიგიურ საკითხებში, ამ მშვენიერი ტაძრის არქიტექტორები, მშენებლები, მხატვრები, ბათუმის ინტელიგენციის წარმომადგენლები და ჩვენი მეგობრები.

წმინდა წირვა აღავლინა მეუფე ჯუზეპე პაზოტომ. როგორც ტაძრის კურთხევისას, ამ დღესაც საკმევლის მარცვლები საცეცხლურში მეუფესთან ერთად მოათავსეს სხვა კონფესიების მოძღვრებმა - წინად ქრისტიანთა ერთობისა და მეგობრობისა. ძლვენის შემობრძანებისას, პროცესიას წინ მოუძღვდა სტენდი, ამ ოცი წლის განმავლობაში სამრევლოს ცხოვრების ამსახველი სურათებით. ეკლესიის ინტერიერი მორთული იყო ლამაზი ყვავილებით.

მეუფე ჯუზეპემ ქადაგების დროს ყურადღება გაამახვილა ქრისტიანული ცხოვრების არსზე და ქრისტიანის მოვალეობაზე, მადლობა გადაუხადა ქალბატონ ნანი გეგენავას და მრევლის ყველა წევრს ტაძრის მოვლა-პატრონობისათვის. წმინდა წირვის დასრულების შემდეგ ყველამ თავი მოიყარა ეკლესიის ეზოში, სადაც ამ დღის აღსანიშნავად დაირგო ზეთისხილის ხე, მრევლის წევრებმა მინა ოჯახებიდან მოიტანეს და ყველამ, სტუმარმაც და მასპინძელმაც, ერთად მივიღეთ მონაწილეობა დარგვაში.

ზეიმმა გადაინაცვლა მამა გაბრიელ ასლანიშვილის სახელობის დარბაზში, სადაც, ბათუმის ეკლესიის საკრებულოს სახელით, დამსწრე საზოგადოებას მივესალმე და მადლობა გადაუხადე ზეიმში მონაწილეობისათვის, მოკლედ გავაცანი, თუ როგორ ცხოვრობდნენ ბათუმელი კათოლიკები, რა გაკეთდა ამ ოცი წლის მანძილზე; აღვიშნე ისიც, რომ არასოდეს მოგვკლებია ყურადღება, სიყვარული და თანადგომა ჩვენი ძვირფასი მოძღვრის - მამა გაბრიელესაგან, რომელმაც თავის ქადაგებაში შეგვახსენა, რომ ადამიანს, რომლის რწმენაც ღვთის სიყვარულზეა დაფუძნებული, არასოდეს უნდა ეშინოდეს სირთულეების და მომავალს იმედიანად უცქერდეს; მუდამ გვამხნევებს იესოს სიტყვები: „ნუ გეშინიათ, მე თქვენთან ვარ“.


ეს დღე განსაკუთრებულად სასიხარულო იყო მრევლის მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელის, ანუელიკა ირიციანისათვის, რომელსაც მეუფე ჯუზეპემ და მამა გაბრიელემ მადლობა გადაუხადეს ოცნლიანი ღირსეული მსახურებისათვის და სამახსოვრო დიპლომი და საჩუქრები გადასცეს. შემდეგ ზეიმმა გადაინაცვლა მრევლის მიერ მომზადებულ სუფრასთან, რომელიც აკურთხა მეუფე ჯუზეპემ და გაჭრა საზეიმო ტორტი, ისმოდა გულითადი მილოცვები და მეგობრული საუბრები.

კიდევ ერთი ლამაზი დღე ჩაინერა ბათუმის სულინმიდის ეკლესიის სამრევლოს ისტორიაში.





მამა გიგრივილე  
პრაგანცინი



## საყოველთაო მოწოდება სიწმილისაკენ Lumen gentium-ის V თავის მიხედვით

**„სიწმიდე“, უპირველესად,  
დამახასიათებელი  
ნიშანია ღვთისა,  
ერთადერთი წმიდისა,  
რომელიც სიყვარულის  
მადლის საშუალებით  
ევლინება ადამიანს.  
ეს განსაზღვრავს  
ღმერთის ბუნებას, მის  
ტრანსცენდენტულ არსას,  
მის მარადუცვლელობას.  
სიწმიდის შესახებ  
საუბარი ნიშნავს  
დამოწმო თავად ღმრთის  
ცხოვრება ტრინიტარული  
საიდუმლოს ზიარებაში.**

1964 წლის 21 ნოემბერს გამოქვეყნდა დოგმატური კონსტიტუცია ეკლესიის შესახებ Lumen gentium. წელს, როდესაც ჩვენმა ეპისკოპოსმა შემოგვთავაზა, გვეფიქრა, როგორ გავხდეთ წმიდანი „საქართველოში“, „აუცილებლად უნდა გადავხედოთ ვატიკანის II კრების დოკუმენტს: „საყოველთაო მოწოდება სიწმიდისაკენ ეკლესიაში“, რათა გავაღრმავოთ სიწმიდისაკენ მოწოდების სიმდიდრე ეკლესიაში, რომელიც „ყველა მოწოდების დედა და წიაღია“.

მნიშვნელოვანია გავიხსენოთ ის რთული გზა, რაც ახასიათებდა Lumen gentium-ის გენეზის, კერძოდ კი, მის V თავს. შევეცდები, საკვანძო საკითხებს შევეხო. კრების გახსნამდე, მოსამზადებელმა თეოლოგიურმა კომისიამ (1960 წლის ივნისა და 1962 წლის ნოემბერს შორის პერიოდი) შეიმუშავა ცამეტი პუნქტი, საიდანაც მიიღო თერთმეტი თავისაგან შემდგარი პირველი სქემა, რაც 1962 წლის 23 ნოემბერს კრების მამებს დაურიგდათ. მამების პასუხი ერთობ კრიტიკული იყო, როგორც შინაარსის სახეცვ-

ლილების, ასევე, გამოყენებული ენის გამო. ახალი მითითებების საფუძველზე, თეოლოგიურმა კომისიამ წარმოადგინა დოკუმენტის ახალი ვერსია, რომელიც ოთხ თავად დაიყო: I. „ეკლესიის საიდუმლოება“; II. „ეკლესიის იერარქიული აგებულება“; III. „ღვთის ერი, განსაკუთრებით საერონი“; IV. „საყოველთაო მოწოდება სიწმიდისაკენ ეკლესიაში“. მეორე სქემის ირგვლივ გამართული დებატების შედეგად კიდევ ერთი თავის დამატების შესაძლებლობა გაჩნდა: „მსხემი ეკლესიის ესქატოლოგიური ხასიათი და მისი კავშირი ზეციურ ეკლესიასთან“ (რაც შეესაბამება ამჟამინდელ VII თავს).


გარდა ამისა, მამებმა გადაწყვიტეს, რომ არ მოემზადებინათ ღვთისამშობლის შესახებ კონკრეტული დოკუმენტი, მაგრამ ეკლესიის იმავე კონსტიტუციისაში შეეტანათ მარიოლოგიური თემატიკა (ახლანდელი VIII თავი). გადაწყდა, რომ III თავის პირველ ნაწილამდე უფრო ფართოდ ყოფილიყო საუბარი ღვთის ერზე, ეკლესიის მსახურებთან და სხვასთან შედარებით. III თავის მეორე

ნაწილი „საეროებზე“ უცვლელად დარჩა. IV თავი თავდაპირველად ეხებოდა „სასულიერო პირებს“ და „სიწმიდისაკენ მოწოდებას“. მომდევნო დებატების შედეგად გადაწყდა, ეს თავი გაყოფილიყო ორ ნაწილად, რომელიც იქნებოდა წინამორბედი თემისა „სიწმიდისაკენ საყოველთაო მოწოდება ეკლესიაში“, მას მოჰყვებოდა თემა რელიგიური ცხოვრებისა და მისი სპეციფიკურ მისის შესახებ. ცხადია, ეს აჩვენებდა, რომ „სახარებისეულ რჩევებზე“ დაფუძნებული ცხოვრება არ ეყარება იერარქიულ ორგანიზაციას, იგი ეკლესიის ქარიზმატული სტრუქტურის ნაწილია. საბოლოოდ, ამჟამინდელი V თავი - „საყოველთაო მოწოდება სიწმიდისაკენ ეკლესიაში“ განთავსდა IV თავსა, სადაც საუბარია საეროებზე, და VI თავს შორის, რომელიც სამღვდელო პირებს წარმოგვიდგენს. დღუმენტის დამუშავების პროცესში, V თავის ერთ-ერთი ბოლო ასპექტი შეეხო ლინგვისტურ სტილს და ფორმულირებას, რაც მოიაზრებდა: „ცხოვრებისეულ მდგომარეობებს, რომლებიც შთაგვაგონებენ სახარებისეულ სრულყოფას“. ახლანდელი ფორმულირება უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას „სიწმიდეზე“, ვიდრე „სრულყოფაზე“, რაც საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავიგოთ მადლი, რასაც მორწმუნენი განიცდიან ღმერთთან - „ერთადერთ წმიდასთან“ - შეხვედრისას, ხოლო სრულყოფის იდეა, ასკეტურ-მორალური თვალსაზრისით, სულიერ დინამიზმზე მიანიშნებს. ამრიგად, არსებობს მოსაზრება, რომ სრულყოფილი მდგომარეობა არ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ღვთივშენირულ ცხოვრებას, რომელიც სახარებისეულ რჩევებს ეფუძნება, იგი ყველა მონათლულის ხვედრია, ვინც კი სრულად ეზიარება „სიწმიდისაკენ მოწოდებას“, თავ-თავიანთი მდგომარეობიდან გამომდინარე. V თავი ცხადყოფს, რომ ეს საყ-

ოველთაო მოწოდება „ეკლესიაში“ აღსრულდება. ეს აქცენტი შეგვახსენებს, რომ სიწმიდე ეხება არა მხოლოდ ინდივიდუალურ სფეროს, არამედ უცილობლად დაკავშირებულია ქრისტესა და ეკლესიის სიწმიდესთან, რომელიც მისი სხეულია. საბოლოო ჯამში, ხელდასხმული მსახურები, საერო და სასულიერო მოღვაწენი, რომლებსაც ერთსა და იმავე საიდუმლოში აქვთ ფესვები და სხვადასხვაგვარად უკავშირდებიან ერთმანეთს, მიჰყვებიან განუმეორებელ და უნიკალურ „მოწოდებას სიწმიდისაკენ“.

ცნობილია დისკუსია „მოწოდების“ კატეგორიის გამოყენებისა და მისი თეოლოგიურ-მორალური მნიშვნელობის შესახებ. აუცილებლად უნდა გაღრმავდეს ბიბლიური ფესვი ბინომისა მოწოდება-სიწმიდე. მეორე ასპექტი ეხება მორწმუნების, სიწმიდისაკენ მოხმობილ („საყოველთაო მოწოდება“) მორწმუნეთა „ტოტალურობას“. ეს აქცენტი ხაზს უსვამს ადამიანის სიწმიდისაკენ მუდმივი მოწოდების ანთროპოლოგიურ და ეკუმენურ განზომილებას, რაც დაფუძნებულია ღვთის ნებაზე, „რომ ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს ჭეშმარიტების ცოდნას“ (1ტიმ. 2:4). მესამე ასპექტი ეხება ეკლესიის იდენტურობას, მის აუცილებელ მისიას, რომლის განახლება კრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს და საჭიროა შემდგომი საეკლესიო სწავლებისათვის.

ამ თავში არაერთმა მკვლევარმა დაინახა კრების ეკლესიოლოგიის ცენტრალური გასაღები. ი. რაცინგერი აღნიშნავდა: „ვისაც კრების ეკლესიოლოგიური ლოგიკის გაცნობა სურს, გვერდს ვერ აუვლის კონსტიტუციის IV-VII თავებს“. ახლა კი, როცა მოკლედ მიმოვიხილეთ V თავის ფორმაციული პროცესი, მოდით, გავიგოთ მისი მნიშვნელობა ეკლესიისა და ჩვენი დროის ადამინისათვის, შემდეგი



ოთხი თემატიკის დახმარებით: ა) ღმერთან ქრისტეში; ბ) ეკლესიის შეცნობა და სიყვარული; გ) მოწოდება და მისია; დ) მადლი და დავალება.


### ა) ღმერთან ქრისტეში

„სიწმიდე“, უპირველესად, დამახასიათებელი ნიშანია ღვთისა, ერთადერთი წმიდისა, რომელიც სიყვარულის მადლის საშუალებით ევლინება ადამიანს. ეს განსაზღვრავს ღმერთის ბუნებას, მის ტრანსცენდენტულ არსს, მის მარადუცვლელობას. სიწმიდის შესახებ საუბარი ნიშნავს დაამოწმო თავად ღმრთის ცხოვრება ტრინიტარული საიდუმლოს ზიარებაში. თავისი ბუნების წყალობით, ღმერთი არს წყარო და მწვერვალი მაცხოვნებელი და გამაერთებელი პროცესისა, რომელიც გამომდინარეობს მამამისაგან და სულინწმიდის მიერ ძეში ხორციელდება. ამ თვალსაზრისით, სიწმიდე თავად უწმიდესი სამების ცხოვრებაა, ჩვენში ჩაღვრილი და, ამავე დროს, იმ ღრმა საიდუმლოს „მოწოდების სულია“, რითაც ღმერთი ნათლობაში ადამიანს უკავშირდება. ამ მიზეზით, ის, რაც ოდენ ღმრთისათვისაა დამახასიათებელი, ჩვენს ყველაზე ახლო და ჭეშმარიტ რეალობას წარმოადგენს. მასში - „წმიდაში“ ჩვენც წმიდად ვიქეცით, „თავისი ძის ხატების მსგავსად“ (რომ. 8:29). ღვთის სიწმიდე ყველა მოწმუნებს იხმობს და აგულიანებს, რომ საკუთარი ცხოვრება „მოწოდების მოვალეობად“ აქციოს. ღვთის მადლი სულინწმიდის მიერ მის ძეში აღსრულებული ძვირფასი ძღვენია. ეს ძღვენი ყოველ მონათლულში განხორციელდება და აისახება პირად ნიჭებში, ცხოვრების წესა და დაკისრებულ მოვალეობებში. იმისათვის, რომ სიწმიდეში მთელი სისრულით იცხოვრო, აუცილებელი პირობაა დარჩე „ღმერთან ქრისტეში“ (შდრ. ოთან. 15: 9-10).

### ბ) ეკლესიის შეცნობა და

### სიყვარული

ადამიანის მოწოდება, „ისწრაფოდეს სიწმიდისა და საკუთარი მდგომარეობის სრულყოფისაკენ“ (LG, მუხლ. 42), ერთგვარი აღმოჩენაა და, ამავე დროს, პასუხია იმაზე, რასაც კრება ყველა მონათლულს ურჩევს. Lumen gentium-ის თეოლოგიური პერსპექტივის თანახმად, ცალკეული მონათლულის სიწმიდე თავად ეკლესიის სიწმიდეს ემყარება (communio sanctorum). აქედან გამომდინარე, ყოვლად აუცილებელია ეკლესია იმ „ადგილად“ მოვიაზროთ, სადაც ადამიანი საკუთარ მოწოდებას შეიცნობს და სისრულის საერთო გზას გაიზიარებს. ხსნა გვეძლევა არა „თვითდამოწმების“, არამედ „თანაზიარების“ ლოგიკით, რაც საშუალებას გვაძლევს ვიცხოვროთ ჩვენთვის თანაზიარი მადლით (შდრ. 1 კორ. 12:7). „Communio sanctorum არ უნდა გვესმოდეს მარტოოდენ წმიდა წევრების ერთობად: მისი სიწმიდე ემყარება ხსნის სიკეთეთა მოზიარეობას: კონკრეტული საკრებულო, კონკრეტული სიწმიდე მხოლოდ საერთო სიკეთის ანუ „მადლის“ (munus) გაზიარებით არსებობს, თავად ტერმინის communio პირველადი მნიშვნელობით“. აქედან გამომდინარე, Lumen gentium-ის V თავი გვეხმარება „ეკლესიის სიწმიდის“ საიდუმლოს გაგებაში, როგორც ამას მრნამში ვალიარებთ. „წმიდა ეკლესიის“ რწმენის დადასტურებისას ჩვენ ვაცხადებთ მის არსებობას ქრისტეში და სულინმდიდაში (შდრ. 1 კორ. 12: 1-27), მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ ყოველი ცოდვისაგან განწმდიდის აუცილებლობას და მონათლულთა პასუხისმგებლობას. ყველა მონათლულის ვალია, რომ ღმერთში თავისი მყოფობა საკუთარი განწმედის გზად მიიჩნიოს. ეს გზა, თავისი განსხვავებული ფორმებითა და საშუალებებით, საბოლოო სისრულეს და ძალას ევქარისტიულ ცხოვრებაში



იძენს. და ბოლოს, სიწმიდისაკენ სწრაფვა არ უნდა დავიდეს პირადი ასკეტიზმის ფორმამდე, უნდა იგრძნობოდეს პასუხისმგებლობა მთელი საეკლესიო საკრებულოს მიმართ. გზა, რომელსაც ცალკეული მონათლული მიუყვება სიწმიდისაკენ თავისი მოწოდებით, საკრებულოს სხვა წევრებზეც აისახება და, შესაბამისად, მთელი მსოფლიოს ჰუმანურობაზე: „ამრიგად, ყველასთვის ცხადია, რომ ყველა მორწმუნე ქრისტიანი, ნებისმიერი რასისა და რანგის, მოწოდებულია ქრისტიანული ცხოვრების სისრულეში და სიქველის სრულყოფაში და ასეთი სიწმიდე უფრო ჰუმანურ ცხოვრებას ქმნის მიწიერ საზოგადოებაში“.


### გ) მოწოდება და მისია

საყველთაო მოწოდება სიწმიდისაკენ „სიქველეში“ ყოველი მორწმუნისა და მთელი საკრებულოს სულიერი ცხოვრების გული უნდა იყოს. გამოყენება კატეგორიისა „მოწოდება“, მთელი თავისი ბიბლიური და საღვთისმეტყველო სიმდიდრით, გვახსენებს ისტორიაში ღვთის მხსნელი, დიალოგური და წინასწარმეტყველური ცხოვრების მანერას. სამების სიყვარულში, რომელიც ყველას მოიცავს, ცალკეული ადამიანის მოწოდების რეალობა აისახება და ეს ღვთის ძის მაგალითთ ხდება, ვინც სიყვარულის გამო განკაცდა და მამისადმი სრული მორჩილებით ხსნის ჩანაფიქრი აღასრულა. ქრისტეში და მის „მიმდევარში“ იპოვის მორწმუნე სიწმიდის გზას, კეთილგონივრული და თავისუფალი არჩევანით, რათა იცხოვროს, როგორც იესოს მისიის გამგრძელებელმა. დღეს აქტუალურია „მოწოდების“ არსის გაგება და საეკლესიო საქმიანობაში მისი ასახვა ღვთიური ჩანაფიქრიდან და მისიიდან გამომდინარე. სულიწმიდის შენევნით ყოველი მონათლული

განმარტავს საკუთარ ეგზისტენციალურ ყოფას, როგორც მოწოდებას, რომელსაც მოაქვს „სულის ნაყოფი სიწმიდისათვის“ (შდრ. გალ. 5:22; რომ. 6:22) და მუდმივად ითხოვს ღვთის წყალობას, „მოგვიტევოს ჩვენ თანანადებნი“ (მათ. 6:12).

### დ) ძლვენი და მოვალეობა

როდესაც V თავს ვკითხულობთ, კიდევ უფრო ვრწმუნდებით, რომ სიწმიდე ერთდროულად არის „ძლვენი და მოვალეობა“, მორწმუნეთათვის მიხდობილი. იგი არის „წყალობის (charis) და სიყვარულის (agapē) ძლვენი“, ნაჩვენები სხვადასხვა ბიბლიური გამოთქმით (გამართლება, ძეობრივი მიღება, კონფიგურაცია, მსგავსება), რომელიც ადამიანს ღმერთთან კავშირულთიერთობაში განიხილავს (deiformitas: cf LG, 40). ამის მიუხედავად, „სიწმიდისაკენ მოწოდება“, როგორც თავისუფალი და მხსნელი ურთიერთობა, ადამიანის სიწმიდის მოიხმობს და ელის მის პასუხს. „სიწმიდე მოითხოვს, რომ ადამიანმა მიიღოს ღვთის მოქმედება, ჰქონდეს ძალისხმევა (სწრაფვა), მისი შესრულების ვალდებულება, როგორც ეს განსაზღვრულია მადლის შესახებ კათოლიკურ სწავლებაში, რომლის თანახმად ღმერთს ყველაფრის ქმნა ძალუძს, მაგრამ არა სრულიად მარტოს“. „სიქველის სრულყოფის“ იდეა წარმოდგენილი არ არის ზოგადი და აბსტრაქტული თვალსაზრისით, მაგრამ შემოთავაზებულია რეალური და კონკრეტული გზით. სიწმიდე ვერ იქნება ავტომატური მექანიზმი, ის წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც „მიმდევრის“ პირადი და საზოგადო გზა, მოსმენისა და მორჩილების დინამიზმი, მიბაქვისა და ზიარების ვალდებულება. ამ მიზეზით, „სიწმიდისაკენ მოწოდება“ სრულიად უნდა ცვლიდეს მორწმუნის ყოფას და საეკლესიო თემს მათივე მსახურების მრავალფეროვნებით.



**რომის პაპი პავლე VI ,  
რომელმაც დაამტკიცა ეკლესიის  
დოგმატური კონსტიტუცია  
Lumen Gentium 1964 წელს**



# ვიაროთ მუდამ... მაშასადამე, ყოველ ქმნილებას- თან ერთად

## ვესვებს მოუწყვეტლივ „შეთავაზება 2020 ცლისათვის“

### (IV გზავნილი)

**ვიაროთ მუდამ... მაშასადამე, ყოველ ქმნილებას-  
თან ერთად**

„გაძლინებ ხენი უფლისანი და კედრები ლიპანისა,  
მან რომ დანერგა. რომ იქ ჩიტებმა დაიდონ ბუდე;  
კვიპაროსები ყარყატის სახლია... რაოდენ მრავა-  
ლია საქმენი შენი, უფალო! ყოველივე სიბრძნით  
შეგიქმნია, სავსეა დედამინა შენი მონაგარით  
(ფსალმ. 103, 16-17; 24).

მრავალი ახალგაზრდა (და არც ისე ახალგაზრდა)  
სასოწარკვეთილია და უმწეობას გრძნობს ურიცხვი  
საფრთხის წინაშე, ჩვენს საუცხოო პლანეტას რომ  
ემუქრება. მომავალში კლიმატური კატასტროფის  
გამო კიდევ ბევრი ადამიანი იძულებული გახდება,  
დატოვოს მშობლიური მხარე.

მაგრამ ჩვენი რწმენა მოითხოვს, რომ ვიყოთ  
ურყევნი, არ გავხდეთ ფატალისტები და არ მი-  
ვეცეთ სასოწარკვეთას. ბიბლიის დასაწყისში  
ვკითხულობთ: „და აიყვანა უფალმა ღმერთმა ად-  
ამი და დასვა იგი ედემის ბალში, რათა დაემუშავე-  
ბინა და დაეცვა იგი“ (დაბ. 2:15). ამ პოეტურ  
ფრაზაში ხაზგასმულია, რომ შემოქმედის ნება  
განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს -  
ჩვენ უნდა ვიზრუნოთ დედამინაზე და დავიცვათ  
ის. ჩვენი ცხოვრება უფრო ადამიანური გახდება,  
თუკი გავიხსენებთ, რომ ქმნილების განუყოფელი  
ნაწილი ვართ.


ჩვენი დედამინა შემოქმედის ძვირფასი ძღვენია,  
რომელიც თავისუფლად სიხარულითა და მად-

ლიერებით უნდა მივიღოთ. დედამინა ჩვენი საერ-  
თო სახლია, და უფალი მოგვიწოდებს ვიზრუნოთ  
მასზე ყოველი ქმნილებისა და მომავალი თაობის  
სასიკეთოდ.

კლიმატური პრობლემები მოითხოვს დაუყოვნე-  
ბლივ გადაწყვეტას, და ეს ხდება სიცოცხლისათ-  
ვის მრავალი წამოწყების საფუძველი, რაც უფრო  
და უფრო გავლენას ახდენს საზოგადოების ცნო-  
ბიერების ფორმირებაზე. რა თქმა უნდა, მხოლოდ  
ჩვენი პირადი ინიციატივა საკმარისი არაა, მა-  
გრამ მის გარეშე შეუძლებელია მნიშვნელოვანი  
ცვლილებები.

- ყოველი ჩვენგანი მოწოდებულია იმოქმე-  
დოს თავისი შესაძლებლობის მიხედვით: გა-  
დავხედოთ ჩვენი ცხოვრების წესს, უარი  
ვთქვათ უსარგებლოზე, გავუფრთხილდეთ ქმ-  
ნილების სილამაზეს.
- ღვთის ქმნილების დაცვას შეიძლება ხელი  
შეუწყოს სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის  
წარმომადგენელთა საერთო მოწმობამ. განა არ  
უნდა მივიღოთ ეს გადაუდებელი საჭიროება  
როგორც ჩვენი ძალების გაერთიანებისაკენ  
მოწოდება? ამგვარ გლობალურ ინიციატივათა  
გამოცდილება უკვე არსებობს - მათგან ერთ-  
ერთია „მწვანე ეკლესიათა“ ქსელი, რომელსაც  
თაიზე-ს საკრებულო 2019 წლის ზაფხულში  
შეუერთდა (იხ. [www.taize.fr/eco](http://www.taize.fr/eco)).

თარგმანი ვარიკო ნოზაძე



## „წმიდანი...“

### ნმ. სალომე ქართველი - მოხსენიების დღე - 2 აგვისტო

წმიდა სალომე ქართველის შესახებ ცნობას გვაწვდის იერუ-სალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარი. როგორც ჩანს, სალომე ქართველი იყო იერუსალიმის დედათა სავანეში მოღვაწე ქალი. იგი აცდუნეს სპარსელებმა და მან ქრისტე უარყო, მერე კი შეინ-ანა და კვლავ აღიარა სარწმუნოება ქრისტესი, რის გამოც მას თავი მოჰკვეთეს 1227 წელს.

### ნმ. ილარიონ თუალელი - მოხსენიების დღე - 6 აგვისტო

ლირსი ილარიონ თუალელის შესახებ მცირე ცნობები მოგვე-პოვება. იგი თავდაპირველად ხახულის მონასტერში მოღ-ვაწეობდა და თავისი დროის ერთ-ერთი უდიდესი სასულიერო მოღვაწე, მწერალი და მთარგმნელი ყოფილა. გიორგი მცირე „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“ წერს, რომ წმიდა ილარი-ონი იყო „უმაღლესი სათხოებითა და სულიერთა მოღვაწებათა შინა განთქმული“. ლირსმა ილარიონმა აღზარდა ხახულის მონ-ასტერში მიყვანილი ყრმა გიორგი მთაწმინდელი. როგორც ჩანს, ხახულის მონასტრიდან წმიდა ილარიონი ანტიოქიაში წასულა სამოღვაწეოდ. მისი ზედნოდება „თუალელი“ მომდინარეობს ან-ტიოქიის მახლობლად მდებარე თუალის მონასტრიდან. ლირსი ილარიონი გარდაიცვალა 1041 წელს.

### ნმ. ლირსი გიორგი მაშენებელი - მოხსენიების დღე - 10 აგვისტო

ლირსი გიორგი ათონის ივერთა მონასტერს სათავეში ჩაუდ-გა ექვთიმე მთაწმინდელის წინამძღვრობიდან გადადგომის შემ-დეგ, ექვთიმეს წინამორბედის, იოანეს ანდერძის თანახმად. მან შეცვალა მონასტრის ძველი წესები, რის შედეგადაც ბერძნებმა მონასტერში შესვლის უფლება მოიპოვეს. ამით გიორგიმ თანამე-მამულეთა წყრომა დაიმსახურა. 1029 წელს ბიზანტიის საიმ-პერატორო კარის რისხვაც დაატყდა თავს, ვინაიდან ბრალად დაედო იმპერატორ რომანოზ III არგიონუსის წინააღმდეგ თესა-ლონიკის მმართველის, კონსტანტინე დიოგენეს მიერ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობა. გიორგი გადასახლეს კუნძულ მონოვატზე, სადაც გარდაიცვალა დაახლოებით 1030 წელს. ამ პერიოდში ათონის ქართველი ბერები დიდ შევიწროებას განიც-დიდენ ბერძნების მხრიდან. მოგვიანებით, ბიზანტიის მთავრო-ბამ ქართველებს აღუდგინა პრივილეგიები წმინდა მთაზე. ქა-რთველმა ბერებმა გიორგის ცხედარი მონოვატიდან ათონზე, მიძინების ტაძარში გადაასვენეს.

### ნმ. მონამე ევსტათი მცხეთელი - მოხსენიების დღე - 11 აგვისტო

სპარსელი მოგვის შვილი, ქრისტიანთა თანამგრძნობი გვი-რობანდაკი სპარსეთში ატეხილ ქრისტიანთა დევნას გამოექცა და ქალაქ განძაკიდან ქართლში (მცხეთაში) ჩამოვიდა. აქ მან შეისწავლა მეწალეობა, დაუახლოვდა ადგილობრივ ქრისტიანებს

# საქართველოში “

და ცოლად შეირთო ქრისტიანი ქალი. ამის შემდეგ უფრო შეიყვარა ქრისტიანული რჯული და მოინათლა კიდეც კათოლიკოს სამოელის ხელით, რომელმაც მას ევსტათი დაარქვა.

სპარსელებმა იგი დაასმინეს ჯერ უსტამ ციხისთავთან, მერე - მარზპან არვანდ გუმნასპთან, სამი წლის შემდეგ კი ახალ მარზპან ვეჟან ბუზმირთან, რომელმაც მას ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვა. ევსტათიმ მისი მოთხოვნა უარყო და მპრძანებელს ვრცლად მოუთხრო ძველი და ახალი აღთქმის ისტორია, დაუსაბუთა ქრისტიანული სარწმუნოების უპირატესობა მაზდეანობაზე. ქრისტიანობის ერთგულებისათვის მას თავი მოჰკვეთეს დაახლოებით 551 წელს. ქრისტიანებმა ევსტათის ცხედარი მალულად წაასვენეს მცხეთაში და დაკრძალეს სვეტიცხოველში, წმიდა ტრაპეზის ქვეშ. მისი ცხოვრება აღწერილია VI საუკუნის უცნობი ავტორის თხზულებაში „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმიდა მოწამე ევსტათი მცხეთელი წმიდანად შერაცხა.



## წმ. არსენ ნინოწმინდელი - მოხსენიების დღე - 13 აგვისტო

წმიდა არსენ ნინოწმინდელი XI საუკუნის სასულიერო მოღვანე, მთარგმნელი, მწიგნობარი და ერთ-ერთი საუკეთესო კალიგრაფი იყო. იგი მონაზვნად აღიკვეცა იერუსალიმში, შემდეგ კი საქართველოში მოიწვიეს და ნინოწმინდის ეპისკოპოსად დაასხეს ხელი.

წმიდა არსენი გარდაიცვალა ათონის მთაზე 1018 წელს. როდესაც ივერონის მონასტრის წინამდლვრად აირჩიეს გიორგი მთაწმინდელი, მან წმიდა არსენის ნეშტი წმიდა ექვთიმე მთაწმინდელის გვერდით, დიდი ეკლესიის საგანგებო სამარტვილეში გადასვენა.

## წმ. რაჟდენ მოწამე - მოხსენიების დღე - 16 აგვისტო

წმიდა რაჟდენი იყო ვახტანგ გორგასლის თანამოღვანე, გაქრისტიანებული სპარსი, გამზრდელი, მამამძურე ვახტანგ გორგასლის მეუღლის ბალენდუხტისა (ირანის შაჰის ასული), რომელსაც გამოჰყვა ქართლში. ირანელების წინააღმდეგ ვახტანგ გორგასლის ომის დროს რაჟდენი ტყვედ ჩაუვარდა ირანელებს. შაჰმა მას მოსთხოვა ქრისტიანობის უარყოფა. მიუხედავად ტანჯვა-წამებისა, რაჟდენი არ დაუბრუნდა ცეცხლთაყვანისმცემლობას. მაშინ შაჰმა ის გაგზავნა წრომში დაბანაკებულ ირანელთა ლაშქრის მეთაურთან, რომელმაც რაჟდენი სიკვდილით დასაჯა დაახლოებით 457 წელს. იგი ძელზე გააკრეს და ისრები დაუშინეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ვახტანგ გორგასლის ინიციატივით, რაჟდენის ნეშტი ნიქოზის ეკლესიაში გადმოასვენეს. ვახტანგ გორგასალმა ეს ეკლესია საეპისკოპოსო ტაძრად აქცია. მოღწეულია რაჟდენის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მეტაფრასული თხზულება. იგი შეუდგენიათ დაახლოებით XII საუკუნეში, რაჟდენის ხსენების დღეს ეკლესიაში საკითხავად.



# კათოლიკე ეკლესია საქართველოში (საბჭოთა პერიოდი 1921-1991)

„დათბობიდან“ ახალ რეპრესიამდე

50-იანი წლების ბოლოს, ე.წ. „დათბობის პერიოდს“ 60-იანი წლების დასაწყისის მკაცრი ანტირელიგიური პოლიტიკა ჩაენაცვლა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პირველი მდივნის, ახირებული და არაპროგნზირებადი ნ. ხრუშჩოვის მოულოდნელი გადაწყვეტილებით, ანტირელიგიური რეპრესიების ტალღამ გადაუარა მთელ ქვეყანას. რამდენიმე დღეში, სტალინის ეპოქის რეგისტრირებული 15 ათასი მოქმედი რელიგიური ორგანიზაციიდან, 10 ათასი დაიკეტა. რელიგიური ნივთები და ხატები განადგურდა. მედიაში კვლავ ანტირელიგიური კამპანია დაიწყო. განსაკუთრებული სისასტიკით კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებს ავიწროებდნენ. საბჭოთა სახელმწიფოს ლიდერი ფიქრობდა, რომ 80-იან წლებში ქვეყანაში აღარ უნდა ყოფილყოვნენ არც მორწმუნები და არც რელიგიური ორგანიზაციები. თუმცა, სულ ორი დღე წელიწადში, კრემლის შიდა გადატრიალების შედეგად, თავად ნიკოტა ხრუშჩოვის ჩანაცვლება მოხდა და ქვეყანას ახალი ლიდერი — ლეონიდ ბრეზნევი მოვლინა. მისი მმართველობის წლები „უძრაობის“ წლებად მოინათლა.

საქართველოში ეკლესის პერსპექტივა 60-იანი წლების დასაწყისში მეტად სავალალო იყო. ხრუშჩოვის წინასარმეტყველება - 80-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის რელიგია აღარ იარსებებსო - შესაძლოა, ახდენილიყო კიდეც ქართველი მართლმადიდებლების მიმართ, ვინაიდან, ყოველგვარი ლოგიკით, 70-იანი წლებისათვის საქართველოში არცერთი ქართველი მართლმადიდებელი მსახური ცოცხალი აღარ იქნებოდა, ხოლო მღვდლების გარეშე დარჩენილ ტაძრებს ხელისუფლების მხრიდან დახურვა ემუქრებოდა. შემდგომ, ყველაზე უკეთესი პერსპექტივა ყო-

ფილი ტაძრების თეატრად ან კიდევ მსატვრების სახელისნოდ გადაკეთება იყო. შეიძლება, ზოგ ეკლესიაში პურის ქარხანა ან კოლმეურნეობების საწყობები გაეხსნათ. ბოლშევიკების ფანტაზია იქამდეც კი მიდიოდა, რომ თბილისის ერთ-ერთ ტაძარში აბანოც კი აამოქმედეს. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ბოლშევიკებს ყოფილ ტაძრებში ათეიზმის მუზეუმები არ მოუწყიათ, როგორც ეს რუსეთსა და უკრაინაში მოხდა.

## უძრაობის ეპოქა

ბრეზნევის მმართველობის სანა საბჭოთა კავშირში „უძრაობის ეპოქის“ სახელითაა ცნობილია. ამ ოცნებულში ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში მართლაც არაფერი სერიოზული არ ხდებოდა. მსგავსი სტაგნაციით გამოირჩეოდა საეკლესიო ცხოვრებაც. რელიგიების საქმეთა საბჭოთავის ყოველწლიურ ანგარიშში ქვეყნის პარტიულ ხელისუფლებას ანუგეშებდა, რომ საეკლესიო ცხოვრება კანონის ფარგლებში მიმდინარეობდა და მორწმუნეთა რაოდენობა თუ არ კლებულობდა, არც მატულობდა. და, რაც მთავარია, სასულიერო პირებისა და მორწმუნების მხრიდან რელიგიური კულტების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის უხეშ დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. მღვდელმსახურებისთვის საფრთხოებელას ნარმოადგენდა არა უშიშროების სამსახური, არამედ საფინანსო ინსპექტორი, რომელიც მკაცრად აკონტროლებდა საკულტო რიტუალების აღსრულებიდან შემოსულ შემოსავლებს. საეკლესიო მსახურებაში არასრულწლობრივი მონაწილეობის მონაწილეობა და კატეკიზაციების ჩატარება ანგარიშის მინიჭებულობა იმანად არც ხდებოდა და, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ვერც მოხდებოდა.

სასჯელი მღვდლისათვის რეგისტარციის საბუთის ჩამორთმევა იყო. თუმცა დამნაშავე ანტისაბჭოთა პროპაგანდისათვის რამდენიმე წლით საპატიმროშიც ხვდებოდა. მაგალითად, ანტისაბჭოთა ქადაგებების ბრალდებით, 1980-იანი წლებისათვის, ლიტვის რესპუბლიკაში ასამდე სასულიერო პირი იმყოფებოდა საპატიმროში.

რაც შეეხება საქართველოს, თოთქმის 50 წლის მანძილზე, მკაცრი მეთვალყურეობის პირობებში, მსახურებას ეწეოდა ერთადერთი ოფიციალურად მოქმედი მღვდელი ემანუელ ვარდიქი და მონაზონი მარია, რომელიც საერო პირის სტატუსით ცხოვრობდა ეკლესიის სიახლოესს და ოფიციალურად დამლაგებლად იყო გაფორმებული. 1930-იანი წლებშიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში კათოლიკური მონასტრების ფუნქციონირება აკრძალეს და ბერ-მონაზვნები რეპრესიების ქვეშ მოაქციეს, მრავალი მონაზონი არალეგალურად ეწეოდა თავის მისიას, რომელიც, ძირითადად, დამლაგებლებად მუშაობდნენ ტაძრებში. ასე ახერხებდნენ თავიანთი აღთქმების დაცვასაც და მოვალეობის აღსრულებასაც. ისინი მღვდლებს მორწმუნეთა კატეკიზაციების ეხმარებოდნენ და თავიანთი სიმბოლური ხელფასით თავიც გაჰქინდათ.

„უძრაობის პერიოდის“ კათოლიკური ყოფა საკუთარი თავის, არსებული მრევლისა და ტაძრის შენარჩუნებისკენ მიმართული ქმედება იყო. არაფერი მნიშვნელოვანი იმანად არც ხდებოდა და, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ვერც მოხდებოდა.

შედარებითი გამოცოცხლება 1975 წლიდან შეიმჩნევა - მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირმა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შემაჯამებელ აქტს, ე.წ. ჰელსინქის დეკლარაციას, მოაწერა ხელი. ჰელსინქის აქტის ხელმოწერის შემდგომ იწყება ადამიანის უფლებების, მათ შო-

რის, სინდისის, თავისუფლების დაცვის სათვის სამართლებრივი ბრძოლა.

1966 წელს პატრი ემანუელ ვარდიქი გარდაიცვალა. ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ კონსტანტინე საფარიშვილისთვის ნება მიეცა წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ტაძარში წინამდღვრად გაეგრძელებინა მსახურება, ვინაიდან იგი მთელ კავკასიაში ერთადერთი კათოლიკე მღვდელმსახური იყო, რომელსაც ასაკის გამო ისედაც გადაადგილების პრობლემა ჰქონდა და გამუდმებით სთხოვდა სამრევლო საბჭოს, ვიკარიუსი მღვდლის დაშვება ოფიციალურად მოეთხოვათ ხელისუფლებისაგან. ახალი მღვდლის გამოქებნა რამდენიმე მიზეზის გამო საკმაოდ რთული პრობლემა იყო: პირველი ის, რომ საქართველოდან არ იყვნენ სასულიერო განათლების მიღების მსურველები. ლიტვაში მოქმედი კაუნასის სასულიერო სემინარია ძირითადად საკუთარი რესპუბლიკის სამრევლოების დაკამაყოფილებით იყო დაკავებული. ლატვიის დაუგავილსის სასულიერო სემინარის მიერ გამოშვებული კადრები კი საბჭოთა მრავალრიცხვოვან კათოლიკურ სამრევლოებს ვერ წვდებოდა. ახალგაზრდა მღვდლები, როგორც წესი, იმ რეგიონებში ბრუნდებოდნენ, საიდანაც სასწავლებლად იყვნენ წარმატები. ანგარიშგასახევი იყო სუბიექტური გარემოებაც: ახალგაზრდა მღვდლებს, როგორც წესი, სურთ ნაცნობ და დიდ სამრევლოში წინამდღვრად განწესება და არა უცნობ, მცირერიცხვოვან სამრევლოში და თან - ვიკარიუსად. ახალი მღვდელმსახურის მიღებას თვით სამრევლოებიც ძალიან ფრთხილად ეკიდებოდნენ. ვინ იცის, იქნებეს ახალგაზრდა მღვდლი, რაღაც პრივილეგიების სანაცვლოდ, ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებაში იმყოფებოდა?! ერთ სიტყვით, დიდი ხნის ძიების შედეგად, 1960-იანი წლების ბოლოსათვის თბილისის მოქმედი კათოლიკური ტაძრისთვის ვიკარიუსის გამოქებნა მოხერხდა. ახალგაზრდა მღვდელმა იან სნეუნისკიმ მალევე შეძლო საქართველოს მრავალეთნიკური კათოლიკე მრევლის ნდობის, სიყვარულის მოპოვება



**პატრი კონსტანტინე საფარიშვილი და პატრი იან სნეუნისკი**

და, შეძლებისდაგვარად, გაააქტიურა პასტორალური საქმიანობა.

პატრი იანის ინიციატივით, 1970-იანი წლებიდან, კვირის რიგითი ლოცვები მრევლის ეროვნული ერგების მიხედვით ტარდებოდა - გერმანულ, პოლონურ, ასირიულ, სომხურ, ქართულ ენებზე. ხოლო საკვირაო წირვა რუსულ და ლათინურ ენაზე ორჯერ აღევლინებოდა. იანვრის თვეში ქრისტიანთა ერთობის ლოცვის კვირეულის ჩატარების ტრადიციაც დამკიდრდა.

### ახალი ტალღა ანუ გამოღვიძების დასაწყისი

1978 წელი გარდამტები აღმოჩნდა არა მარტო კათოლიკური ეკლესიის წინამდღვრისათვის, არამედ საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოსთვისაც. კრაკოვის არქიეპისკოპოსი, კარდინალი კაროლ ვოიტილა 264-ე პაპი ხდება, რომელიც, ნომნად იმისა, რომ გააგრძელებს ოთანე XXIII-ისა და პავლე VI-ის საქმეს, ერთგული იქნება ვატიკანის II მსოფლიო კრების სულისკვეთებისა, პაპობის სახელად ირჩევს ოთანე პავლეს.

ოთანე პავლე II-ის პირველი გზავნილი რკინის ფარდის აღმოსავლეთით მყოფი მრავალმილიონი კათოლიკესადმი იქნება მისი ისტორიული ფრაზა - „ნუ გეშინიათ!“ პაპის ამ მონადებამ არნახული სახელი და მონადება არ არას-დროს ყოფილა ანტიპოლონური ან ანტიკათოლიკური განწყობები.

კომუნისტური რეჟიმის წესის ქვეშ მყოფ კათოლიკებს. მათ, ვინც რწმენისა და ეკლესის ერთგულების გამო ათწლეულები იტანდნენ გადასახლებებს, მუდმივ თვალთვალს, შეურაცხყოფასა და დევნას, რელიგიურ რიტუალებში მონაწილეობა შეიძლება თავისუფლების დაკარგვად თუ არა, სამსახურიდან გათავისუფლების ფასად დასჯდომოდათ.

კაროლ ვოიტილას რომის პაპად არჩევისა და მისი მონოდების - „ნუ გეშინიათ!“ შემდგომ, მთელ აღმოსავლეთ ევროპაში კათოლიკური ეკლესის ავტორიტეტი გაიზარდა. საბჭოთა კავშირში ამ მოვლენას ეთნიკური პოლონელების ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება მოჰყვა. სამაგალითოდ, ის ფაქტიც საკმარისია, რომ მღვდელმა იან სნეუნისკიმ, რომელიც დაბადებული იყო უკრაინაში, სადაც ეთნიკური პოლონელების ასიმილაცია სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილს შეადგენდა, საბჭოთა პაპორტში ცვლილება შეიტანა - რუსულის ნაცვლად, პოლონური ფორმით შეიცვალა სახელიც, მამის სახელიც და გრაფაში ეროვნება - უკრაინელის ნაცვლად, პოლონელი ჩაინერა. უკრაინისა და რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოში არც არას-დროს ყოფილა ანტიპოლონური ან ანტიკათოლიკური განწყობები.

### ნუგზარ პარდაველი



**ნუზარ პარდაველიძე**

11 ივლისს ცნობილი ქართველი მეცნიერის, ეროვნული ქიმიური სკოლის ფუძემდებლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორის, პეტრე მელიქიშვილის დაბადებიდან 170 წელი შესრულდა. საქართველოში წმიდა საყდრის დესპანის, არქიეპისკოპოს უოზე აველინო ბეტენკურის ინიციატივით გადაწყდა, საზეიმოდ, საზოგადოების ფართო ჩართულობით (ცხადია, პანდემიის ფონზე სახელმწიფოს მიერ დაწესებული საგანგებო სანიტარული მოთხოვნების დაცვით) აღნიშნულიყო დიდი მეცნიერის ხსოვნის დღე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით, 10 ივლისს, უნივერსიტეტის ბალში, დიდი მეცნიერის მემორიალთან საზეიმო ცერემონია ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ წმიდა საყდრის დესპანი საქართველოში, მისი აღმატებულება უოზე ა. ბეტენკური, კავკასიის ლათინ კათოლიკურთა სამოციქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო, კათოლიკურ მღვდელმსახურები და საქართველოს კათოლიკური ეკლესიის კულტურის კომისიის წევრები. მასპინძელთა მხრიდან ცერემონიაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი გიორგი შარვაშიძე, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

## სახელოვანი კათოლიკე მამულიშვილის გახსენება - პეტრე მელიქიშვილი 170

პეტრე მელიქიშვილის მემორიალის ყვავილებით შემკობის შემდგომ შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, მან მოკლედ ისაუბრა პეტრე მელიქიშვილის დამსახურებაზე ქვეყნისა და პირველი უნივერსიტეტის წინაშე. „არსებულმა პანდემიამ, საერთო კარანტინმა, კარდინალურად შეცვა ჩვენი გეგმები, ამიტომ დაგეგმილი საიუბილეო ღონისძიებები ნოემბრისთვის გადავიტანეთ, ამჟამად მხოლოდ დიდი მეცნიერისადმი მიძღვნილი გამოფენაა მოწყობილი უნივერსიტეტის ისტორიულ კორპუსში, ვგეგმავთ დიდი საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას და ბატონი პეტრეს წიგნების გამოცემას. ჩვენი უნივერსიტეტი აფასებს და პატივს მიაგებს მის ერთ-ერთ ფუძემდებლადა და რეექტორს“.

შემდგომ საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა წმიდა საყდრის დესპანმა. გთავაზობთ ამონარიდს მისი აღმატებელების გამოსვლიდან: „მოხარული ვარ პატივი მივაგო დიდი და გამორჩეული ქართველის, პეტრე მელიქიშვილის ხსოვნას. დღეს ჩვენ ვზეიმობთ მისი დაბადების 170-ე წლისთვის. იგი გახლდათ ამ სახელოვანი უმაღლესი სასწავლებლის პირველი რექტორი, მსოფლიო დონის მეცნიერი და უამრავი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. პეტრე მელიქიშვილის ხსოვნისთვის პატივის მიგებით ჩვენ პატივს მივაგებთ ამ უნივერსიტეტსა და ყველა თქვენგანს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, ყველას, ვინც თავდადებით იღვნის უნივერსიტეტის, ერისა და კაცობრიობის სამსახურში. რჩენაც და მეცნიერული აზროვნებაც ღმერთისგან

იღებს სათავეს. ისინი ერთმანეთს ავსებენ. იქ, სადაც მეცნიერების ემპირიული აზროვნების სფერო მთავრდება, ღმერთი შემეცნების ახალ განზომილებას გვთავაზობს. ამიტომაც, ჩვენ ვამაყობთ ამ დიდი ქართველი მამულიშვილისა და ღვთისმოსავი კათოლიკეს მიერ დამკაიდრებული აკადემიური სტანდარტითა და იმ ამაგით, რომელიც მან დასდო თქვენს უნივერსიტეტს. აქ, უნივერსიტეტის ეზოში ყოფნისას, ასევე გვახსენდება ის ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ამ ინსტიტუტს აღმოჩინა ზუბალაშვილების კათოლიკურმა ოჯახმა. ამიტომაც, მრავალი გაგებით, კათოლიკე ადამიანისთვის დღეს აქ, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოფნა საკუთარ კედლებში ყოფნას წიშნავს. კათოლიკეები ქართველები არიან, საქართველოს პატრიოტები, იმ ხიდების მშენებლები, რომლებიც საქართველოს მსოფლიოს ფართო საზოგადოებასთან აკავშირებს. ჩვენ ჩვენი წინამორბედების მიერ ჩაყრილ საფუძველზე ვდგავართ. ვსარგებლობთ შემთხვევით და გილოცავთ ამ თარიღს. ყველა თქვენგანს ვუსურვებ წარმატებებს აკადემიურ საქმიანობაში. გმადლობთ.“

მისასალმებელი გამოსვლების შემდგომ მეუფე ჯუზეპე პაზოტომ კათოლიკე სამღვდელობასა და მრევლთან ერთად პეტრე მელიქიშვილის სულის მოსახსენებელი ღოცვა აღავლინა. ღოცვის დასრულების შემდგომ შეხვედრა უნივერსიტეტის პირველი კორპუსში ფოიემი გაგრძელდა, სადაც სპეციალურად ამ დღისათვის მოწყობილი იყო პეტრე მელიქიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა.

1918 წლის იანვარში, თბილისის



უნივერსიტეტის დამფუძნებლის, ივანე ჯავახიშვილის დაუზინებული თხოვნით, პეტრე მელიქიშვილი, რომელიც რუსეთის იმპერიაში აღიარებული მეცნიერი გახლდათ, და მისი ავტორიტეტი აუცილებელი იყო ახლად შექმნილი ქართული უნივერსიტეტისათვის, პირველი ქართული აღმა მატერის პირველი რექტორი ხდება. ამ თანამდებობაზე პეტრე მელიქიშვილმა რამდენიმე წელი დაჰყო, წლების მანძილზე იგი ივანე ჯავახიშვილთან შეთანხმებით უძღვებოდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი უმაღლესი სასწავლებლის მართვას. აქვე აღნიშნავთ, რომ ამ თანამდებობას პეტრე მელიქიშვილი რექტორის ხელფასზე უარის თქმის შემდგომ დათანხმდა. მას და ივანე ჯავახიშვილს არ ჰქონიათ უთანხმოება, გაუგებრობა ან დაპირისპირება ერთმანეთთან, რაც კოლეგიალური თანამშრომლობის საკმაოდ იშვიათი გამოვლენა იყო იმ პერიოდისთვისაც და იშვიათობად რჩება ჩვენს დროშიც. ეს საოცარი თავმდაბლობა, შრომისმოყვარეობა და კეთილშობილი ქცევა პეტრე მელიქიშვილს კათოლიკური ტრადიციების ერთგულად დამცველ ოჯახში ბავშვობიდანვე შთაენერგა.

პეტრე მელიქიშვილი, რექ-

ტორობასთან ერთად, ბუნების მეტყველების ფაკულტეტის დეკანისა და ორგანული ქიმიის კათედრის გამგის ფუნქციებს ასრულებდა. მან დააფუძნა ქიმიის რამდენიმე ლაბორატორია, ორი კათედრა და შექმნა ქართული ქიმიური ტერმინოლოგია. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრის, ნიაღისეულისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესწავლას. დიდი ამაგი დასდო ქართული ქიმიური ტერმინოლოგიის შექმნას. ის იყო მრავალი სამცნიერო საბჭოს წევრი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი სახელობის პრემიები დაწესდა. პეტრე მელიქიშვილმა, **ვასილ პეტრიაშვილთან** ერთად, საფუძველი ჩაუყარა ქართულ ქიმიურ სკოლას. მან შეისწავლა ორგანულ მუსავათა ზოგიერთი წარმომადგენლისა და მათი წარმომადგენლების სინთეზის საკითხები, ფიზიურ-ქიმიური თვისებები. ამ საკითხებზე დაწერილმა მისმა შრომებმა დიდად შეუწყო ხელი ნივთიერებათა აღნაგობის თეორიის განვითარებას, მელიქიშვილმა პირველმა მიღლო

ორგანულ ნაერთთა კლასი, რომლებსაც გლიციდ მჟავები უწოდა. პეტრე მელიქიშვილი ერთერთი ყველაზე გამორჩეული ქართველი კათოლიკეა, ის კათოლიკეთა იმ სახელოვანი პლეადის სათავეშია, რომელიც აერთიანებს: სულხან-საბა ორბელიანს, ზაქარია ფალიაშვილს, პეტრე ოცხელს, სიმონ ყაუხჩიშვილს, პეტრე უმიკაშვილს, მიხეილ თამარაშვილს, მიხეილ თარხნიშვილს, ფელიქს ვარლამიშვილს და მრავალ სხვა ჭეშმარიტ ქართველ მამულიშვილს.

საქართველოს კათოლიკე ეკლესიასთან არსებული კულტურული კომისია, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, უურნალი „საბა“ და სრულიად საქართველოს ლათინური წესის კათოლიკე ეკლესია კვლავაც შეეცდება, აქტიურად იყოს ჩართული საქართველოს კათოლიკური მეცნიერების შესწავლის, დაცვისა და გასაჯაროების პროცესში. შეცდება, რომ არავინ და არაფერი იყოს დავიწყებული და ამ საშვილიშვილო საქმეში წმიდა საყდრისა და საქართველოში მისი სადაცანოს მხარდაჭერის იმედიც გვაქვს.



## მოდით, გავბედოთ, გავხდეთ წმიდანები

### ჯენი კარაპეტიანი

დაფიქრებულხართ, თუ როგორი დიდი პატივია, იცნობდე ღმერთს. ყველაფერი, რასაც ვხედავთ, რასაც ვეხებით, რასაც ვერჩნობთ, მისი შექმნილია და მან ეს ყველაფერი ჩვენთვის შექმნა, შენთვის და ჩემთვის. ამ ყველაფრის შემქმნელს ვიცნობთ, უფრო მეტი, ისიც გვიცნობს, იცის ჩვენ შესახებ ყველაფერი.

ყოველი ადამიანი სვამს კითხვას: „ვინ ვარ და რა-ტომ მოვსულვარ ამქვეყნად, როგორ ვიპოვო საკუ-თარი თავი?“ რწმენა პასუხობს: მხოლოდ სიწმიდე აქცევს ადამიანს იმად, რისთვისაც ღმერთმა შექმნა ის. სწორედ მისი მემვეობით აღწევს ადამიანი ჰარმონიას საკუთარ თავთან და თავის შემოქმედთან. თუმცა, სიწმიდე თვითნაკეთი სრულყოფილება როდია; ეს არის კავშირი განკაცებულ სიყვარულთან - ქრისტესთან. ვინც ამგვარად მიიღებს ახალ სიცოცხლეს, საკუთარ თავს ჰპოვებს და წმიდანი გახდება.

ჩვენ, ახალგაზრდები, ეკლესიის იმედი ვართ, რადგან ზუსტად ჩვენ გვაქეს დიდი ძალა და შესაძლებლობა, ვიყოთ ეკლესიის ზურგი (იმედი, ძალა). პაპი ფრანცისკე ამბობს: „ახალგაზრდათ სიწმიდის მეშვეობით, ეკლესიას შეუძლია განაახლოს თავისი სულიერი მგზნებარება და სამოციქულო ცხოველყოფელობა. მრავალი ახალგაზრდის კეთილი ცხოვრებიდან შობილი სიწმიდის სალბუნს შეუძლია მოაშუშოს ეკლესიისა და სამყაროს იარები, და დაგვაბრუნოს იმ სიყვარულის სისავსეში, რომლისკე-

ნაც დასაბამითვე ვართ მოხმობილნი: წმიდა ახალგაზრდები გვიბიძგებენ, რომ ჩვენს პირველ სიყვარულს დავუბრუნდეთ“.

ვფიქრობ, იყო წმიდანი, ნიშავს გქონდეს დიდი რწმენა, სიყვარული და გამბედაობა; არ გეშინოდეს, იყო ის, ვინც ხარ; არ გეშინოდეს ღმერთის სახელის წარმოთქმისა საზოგადოებაში; არ გეშინოდეს, მიხვიდე ღმერთთან უფრო ახლოს, ვიდრე ხარ, დაამოწმო მისი სიყვარული და პატარ-პატარა ნაბიჯებით მიუახლოვდე სიწმიდის გზას. გაბედეთ, გაბედეთ და იყავით უფრო მეტი, ვიდრე ხართ, ვინაიდან უფრო მნიშვნელოვანია, ვინა ხარ, ვიდრე ნებისმიერი სახის საკუთრება. რა სიკეთე აქვს საკუთრებას ან გარებობას? ღმერთმა იცის, თუკი მიხვდებით, რომ რაღაც უფრო დიადისკენ ხართ მოხმობილნი. ითხოვეთ შემწეობა და რწმენით ესწრაფვეთ სიწმიდის დიდ მიზანს.

ვატიკანის II კრება დაგვეხმარა, განგვეახლებინა მოწოდება: „ყველა ქრისტიანი, როგორიც არ უნდა იყოს მისი მდგომარეობა და სტატუსი, თითოეული თავისებურად, უფლის მიერ არის მოწოდებული სიწმიდის იმ სრულყოფილებისაკენ, რომელიც თავად მამის სრულყოფილება არის“. ყოველი ადამიანი მოწოდებულია, გახდეს წმიდანი. წმიდა ტერეზა კალკუტელი გვეუბნება: „გუშინდელმა დღეს უკვე ჩაიარა. ხვალინდელი ჯერ არ მოსულა. ჩვენ მხოლოდ გვაქვს დღევანდელი“, ასე რომ, მოდით, გავბედოთ, გავბედოთ გავხდეთ წმიდანები.

## ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

- 5 აგვისტო** — წმ. მარიამის ბაზილიკის კურთხევა, უდის საკრებულოს დღეობა მთაში
- 6 აგვისტო** — ფერიცვალება, დღესასწაული
- 10 აგვისტო** — წმ. ლავრენტი, დღესასწაული
- 15 აგვისტო** — მარიამის ზეცად აღყვანება, დიდდღესასწაული, საკათედრო ტაძრის საკრებულოს დღეობა თბილისში; უდის დიდი ეკლესიის დღეობა
- 16 აგვისტო** — საკათედრო ტაძრის კურთხევა, დიდდღესასწაული, სხვა ტაძრებში დღესასწაული
- 22 აგვისტო** — წმ. მარიამ ქალწული — დედუფალი, ვარგავის ეკლესიის დღეობა
- 24 აგვისტო** — წმ. ბართლომე, მოციქული დღესასწაული
- 30 აგვისტო** — მ. ანდრია გიგოლაშვილის გახსენება (+1937)

თუ გსურთ შეიძინოთ მამა ლუიჯი მანტოვანის შესახებ ფილმი „სიტყვის კაცი“ (DVD დისკი),  
შეგიძლიათ დარეკომ შემდეგ ნომერზე: 593199321 (რეჟისორი ლელა ბერიძე); ფასი: 15 ლარი.



მთავარი რედაქტორი: გ. გაბრიელე ბრაგანტინი CSS

სარედაქტო პოლეგია: ნუგაზ ბარდაცვლიძე, ვერიკო ნოზაძე, შორენა პარუნშვილი, მერაბ ლალანიძე, ციცინო ხითარიშვილი

ტექნიკური მხარდაჭირი: მღვდ. მხეილ სურამაგ, თამარ სტეფანაძე

მისამართი: ურნალ „საბას“ რედაქცია, ვია აბესაძის ქ. №4ა 0105, თბილისი, საქართველო;

E-mail: sabamedia@ gmail.com; www.sabamedia.net; www.facebook.com/sabamedia/

რეგისტრაციის №1853, დაარსდა 1994 წ. მანანა ანდრიაძის მიერ, მ „საბა“, 2020.